BAU INTERNATIONAL UNIVERSITY BATUMI LIMITED
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №03/16

ქ. ბათუმი, 23 მარტი 2018წ

„საგრანტო კონკურსის გამოცხადების, წარმოსადგენი დოკუმენტების და გასაუბრების ვადების განსაზღვრისა და საგრანტო კომისიის ფორმირების შესახებ“

ვხელმძღვანელობ რა, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 24 მარტის №3 დადგენილებით „საგრანტო კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ დებულებით“, „საგრანტო კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასწავლო უნივერსიტეტში გამოცხადდეს აბიტურიენტთა საგრანტო კონკურსი 2018-2019 სასწავლო წლისათვის.
2. სასწავლო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლისათვის სწავლის დაფინანსების მიზნით კონკურსანტების დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 15 აპრილიდან 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
3. 2018-2019 წლის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების პრიორიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზე მითითების დამადასტურებელი დოკუმენტი (აღნიშნული არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე);

ბ) CV ფოტო სურათით, სადაც ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, უნარები, ჰობი;

გ) ორი სარეკომენდაციო წერილი (რეკომენდატორთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით), ერთი აუცილებლად კლასის დამრიგებლისაგან;

დ) სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე - (მინიმუმ 300 სიტყვა);

ე) სხვა აქტივობების (ოლიმპიადა, კონფერენცია, პროექტი, მათ შორის სატელევიზიო) დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას საგრანტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

6010, ქ. ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქ., № 14
ტელ.: + 995 (422) 21-25-35/36
ფაქსი: + 995 (422) 21-25-37
ელ.-ფოსტა: info@bauinternational.edu.ge

საიდენტიფიკაციო კოდი
Identification code
445434888

14,General Aslan Abashidze str, Batumi, 6010
Tel.: +995 (422) 21-25-35/36
Fax: +995 (422) 21-25-37
E-mail: info@bauinternational.edu.ge

ა) რექტორი - ისმეთ დინდარ;
ბ) მედიცინის ფაკულტეტის დეკანი - ლეილა ახვლედიანი;
გ) ადმინისტრაციის უფროსი - თეა მიქელაძე;
დ) საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსი - ნანა კუტუბიძე;
ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ჯილდა ჭეიშვილი.
5. საგრანტო კომისიის რეზერვ წევრებად დაინიშნოს:
ა) იურიდიული სამსახურის უფროსი - თამარ გაბელია;
ბ) ბიბლიოთეკის დირექტორი - თეონა ხაბაძე.
6. ზემოაღნიშნულ კომისიას დაევალოს წარმოდგენილ კონკურსანტთა დოკუმენტაციის განხილვა 2018 წლის 01 მაისიდან 2018 წლის 07 მაისის ჩათვლით.
7. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ გაიმართოს კონკურსანტებთან ზეპირი გასაუბრება 2018 წლის 10-11 მაისს.
8. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას არაუგვიანეს 2018 წლის 21 მაისისა.
9. სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიისა და არქივის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს წინამდებარე ბრძანების ასლების გადაცემა დანიშნულ კომისიის წევრთათვის.
10. მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსს დაევალოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
11. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
12. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მისამართზე - ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30.

რექტორი, პროფესორი
ისმეთ დინდარ